საჯარო სამართლის იურიდიული პირი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

კვლევის ეთიკის კოდექსი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:

ოქმი № 7 19.02 2024 წ.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:

ოქმი № 19 18.07. 2025 წ.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი: /მალვა ჭკადუა/

თელავი 2024 წ.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევის ეთიკის კოდექსი

1. ზოგადი დებულებები

1. კვლევის ეთიკის კოდექსი (შემდგომში-კოდექსი) ემსახურება სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - „უნივერსიტეტი") კვლევის ეთიკის ნორმების განსაზღვრას და მკვლევართა კეთილსინდისიერების მხარდაჭერას.

2. კოდექსი ემსახურება უნივერსიტეტში კვლევის ეთიკის კულტურის დანერგვას და უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების მიერ კვლევის პასუხისმგებლობითა და მაღალი სტანდარტებით წარმართვას.

3. კოდექსი განსაზღვრავს უნივერსიტეტში კვლევის ეთიკის შესახებ არსებული მექანიზმებს და დარღვევის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებს.

4. კოდექსი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, წესდების, უნივერსიტეტის შენაგანაწესის, მისიისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

5. წინამდებარე დოკუმენტის მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტის პერსონალზე და უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის სტუდენტებზე, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განახორციელონ კვლევითი საქმიანობა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში და მოახდინონ კვლევის შედეგების გასაჯაროება ან გამოქვეყნება.

2. კვლევის ეთიკის სახელმძღვანელო პრინციპები და ღირებულებები

კვლევის ეთიკის პრინციპები ეფუძნება კვლევის ეთიკის თანამედროვე ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს, უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრებული კვლევის ღირებულებებისადმი პატივისცემას და ხელს უწყობს მკვლევართა ინტერესების დაცვას.

2.1. კვლევა უნდა წარიმართოს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით, რათა მაქსიმალური სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებას და მინიმუმამდე დაიყვანოს ზიანის რისკი;

2.2 კვლევა უნდა მოხდეს კეთილსინდისიერი მეთოდებით და გამჭვირვალობის დაცვით, რათა დაინტერესებულ პირს ნებისმიერ დროს შეეძლოს კვლევაში წარმოდგენილი ფაქტებისა თუ არგუმენტების გადამოწმება;

2.3. მკვლევრმა უნდა გაითვალისწინოს ინტერესთა კონფლიქტის ან პარტნიორთა შორის დაძაბულობის ფაქტები ან მისი შესაძლებლობა და იზრუნოს მათ გადაჭრაზე; უზრუნველყოს ერთმანეთთან მკაფიო კომუნიკაცია;

2.4 კვლევითი საქმიანობა სწორედ უნდა იქნას განაწილებული მკვლევართა შორის. დაცულ უნდა იქნას მათი ღირსება, კოლეგების უსაფრთხოება, კვლევის მონაცემთა დაცვა და კონფიდენციალობა.

2.5 კვლევის ეთიკური პრინციპები დაცული უნდა იქნეს როგორც კვლევის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ, ასევე–კვლევის პროცესში.

2.6. კვლევაში ჩართული პირებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს პოზიტიური გარემო, რომელშიც დაცული იქნება თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპები.

3. უნივერსიტეტის როლი და პასუხისმგებლობა კვლევის ეთიკის მხარდასაჭერად

3.1 უნივერსიტეტი პასუხისმგებელია შექმნას კვლევისათვის შესაბამისი გარემო, რაც უზრუნველყოფს მაღალხარისხიან კვლევას.

3.2 ჰქონდეს კვლევის მართვისა და კვლევის ეთიკის მხარდამჭერი სტრუქტურები;

3.3. უზრუნველყოს მკვლევართათვის კვლევის ეთიკის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესახებ გაცნობითი შეხვედრების და ტრენინგების მოწყობა

3.4. უზრუნველყოს სტუდენტებისთვის კვლევის ეთიკის თანამედროვე სტანდარტების შესახებ ტრენინგების მოწყობა, მათი პროგრამის და სწავლების საფეხურის შესაბამისად.

3.5. ჰქონდეს კვლევის განაცხადის წარდგენის მექანიზმები და განაცხადის წარდგენისათვის საჭირო დოკუმენტაციის ფორმები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა მკვლევარისათვის.

3.6. შეძლოს უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს კვლევის ეთიკის ნორმების დაწერგვასთან დაკავშირებით

3.7. უზრუნველყოფს შესაბამისი მონიტორინგი საუნივერსიტეტო სივრცეში კვლევის ეთიკური პრინციპებით წარმართვასთან დაკავშირებით.

4. მკვლევარის როლი და პასუხისმგებლობა კვლევის ეთიკის სტანდარტების დაცვაში

4.1. მკვლევარი იღებს პასუხისმგებლობას, რომ აქვს შესაბამისი გამოცდილება და იცის კვლევის სფეროს ეთიკური საკითხები.

4.2. კვლევის ხელმძღვანელი მხარს უჭერს მკვლევარებს და ხელს უწყობს მათ ეთიკურად მუშაობას.

4.3. სტუდენტთა კვლევის ხელმძღვანელები იღებენ პასუხისმგებლობას, რომ სტუდენტმა დაიცვას კვლევის ეთიკის მოთხოვნები.

4.4. მკვლევარი, რომლის ნაშრომიც ითვალისწინებს განათლების, ეთნიკური უმცირესობების, სსმ და შშმ პირების, ჯანდაცვის და არასრულწლოვანთა შესახებ კვლევებს, ვალდებულია რომ მისი ყველა კვლევა დაექვემდებაროს განხილვას, რათა გათვალისწინებული იქნას კვლევის ეთიკურად წარმართვის პრინციპები, სარგებლიანობა და მისი როლი უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული გეგმის გათვალისწინებით. ნაშრომი უნდა შემოწმდეს პლაგიატზე. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს <u>მოქმედი დებულებებით</u> (მუხლი 5.4).

4.5. განხილვის დროს მკვლევარს აქვს პასუხისმგებლობა ჩაერთოს მისი კვლევის განხილვის პროცესში კეთილსინდისიერი ფორმით.

4.6.კვლევის განხილვისას მკვლევარი ვალდებულია უზრუნველყოს კვლევის სრულყოფილად წარმოდგენა კვლევითი საქმიანობის დაწყებამდე;

4.7.მკვლევარმა უნდა უზრუნველყოს კვლევის ეთიკურად წარმართვის პროცესი, მთელი კვლევის განმავლობაში და, ამ მიმართულებით, წარადგინოს პროექტის შუალედური და საბოლოო ანგარიშები.

4.8. კვლევის განხილვისას მკვლევარი უნდა იყოს კოლეგიალური, კონსტრუქციული და ხელმძღვანელობდეს კვლევის ეთიკის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებით.

4.9. სტუდენტები, რომლებიც ატარებენ კვლევას ან ჩართულნი არიან კვლევის პროცესში უნდა დაიცვან შესაბამისი ეთიკური პრინციპები მოქმედი დოკუმენტის შესაბამისად;

4.10. კვლევაში ჩართული სტუდენტი კვლევას წარმართავს მკვლევარის მხარდაჭერითა და ზედამხედველობით;

4.11. მკვლევარისა ან სტუდენტის მხრიდან კვლევის ეთიკური ვალდებულებების შეუსრულებლობა ჩაითვლება ეთიკური ნორმების დარღვევად, რაც გამოიწვევს მათ მიმართ დისციპლინური სანქციების ამოქმედებას უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის შესაბამისად.

5. კვლევის ეთიკის კომიტეტი

5.1. უნივერსიტეტში მოქმედებს კვლევის ეთიკის კომიტეტი, რომელიც არის დამოუკიდებელი, კოლეგიალური ორგანო და ემსახურება ამავე დოკუმენტის 4.4. პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი კვლევითი და სამეცნიერო პროექტების/შრომების განხილვას, რათა დაცული იქნეს კვლევის მონაწილეთა ფუნდამენტური უფლებები და ხელი შეუწყოს მაღალ, ხარისხიან კვლევით საქმიანობას.

5.2. კვლევის ეთიკის კომიტეტი შედგება უნივერსიტეტის მინიმუმ 7 წევრისგან: თითოეული ფაკულტეტიდან ერთი წარმომადგენელი (3 წევრი), უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეებისგან (2 წევრი), უნივერსიტეტის კვლევის ოფიცრებისგან (2 წევრი) და იურიდიული სამსახურის უფროსისგან/წარმომადგენლისგან (1 წევრი), აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტუდენტთა კონსულტაციის ცენტრის ხელმძღვანელისგან (1 წევრი).

5.3. კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრები უნდა სარგებლობდნენ ნდობით და ჰქონდეთ კვლევის ეთიკური პრინციპების დაცვისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება;

5.4. ისეთი საკვლევი საკითხების განხილვისას, რომელიც მოითხოვს სპეციალურ კონსულტაციებს, ან საკითხი მიჩნეული იქნება საკმარისად რთულად, კომიტეტმა შეიძლება მოიწვიოს სპეციალისტი ექსპერტიზისათვის (კვლევის განხილვისას ის სარგებლობს კომიტეტის წევრის უფლება-მოვალეობებით, გარდა ხმის უფლებისა).

5.5. კონკრეტული კვლევითი პროექტის/ნაშრომის, კვლევის ეთიკური მიმართულებით შესწავლაში შესაძლოა ჩაერთოს სხვა გარე ორგანიზაცია/ორგანიზაციის წარმომადგენელი.

5.6. ფაკულტეტებიდან კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო, ღია კენჭისყრით, სამი წლის ვადით, რომელსაც დასამტკიცებლად უგზავნის რექტორს/აკადემიურ საბჭოს

5.7. კვლევის ეთიკის კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს რექტორი სამი წლის ვადით. კომისია თავმჯდომარესა და მდივანს ირჩევს კომისიის პირველივე სხდომაზე ხმათა უმრავლესობით.

6. კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრის მიერ თვითაცილება

6.1. კომიტეტის წევრი ვერ მიიღებს მონაწილეობას საკითხის განხილვაში იმ შემთხვევაში, თუ ის იქნება კვლევაში ჩართული პირი.

6.2. კომიტეტის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მონაწილეობს კვლევაში. ასეთ შემთხვევაში მის ნაცვლად რექტორი კომიტეტის წევრად დროებით ამტკიცებს შესაბამისი კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელს/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ბრძანების საფუძველზე.

7. კვლევის ეთიკის კომიტეტის მიერ სხდომის წარმართვა

7.1. კომიტეტის სხდომა დახურულია. კომისია ვალდებულია, სხდომაზე მოიწვიოს მკვლევარი ან მკვლევართა ჯგუფი.

7.2. კომიტეტის მდივანი უზრუნველყოფს სხდომის წერილობით ასახვას.

7.3. კომიტეტი ვალდებულია, დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი.

7.4. კომიტეტი საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისიის თითოეული წევრის წერილობით გამოხატული პოზიციის საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით.

7.5. კომიტეტის საქმიანობა აისახება კომისიის ოქმში, სადაც დასაბუთებულად იქნება წარმოდგენილი დასკვნა კვლევითი პროექტის ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის/ შეუსაბამისობის თაობაზე.

7.6. კვლევითი პროექტის ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის შემთხვევაში, კომიტეტი უბრუნებს ნაშრომს დაინტერესებულ პირს, შესაბამისი დასკვნით, შემდგომი გადახედვის მიზნით.

7.7. იგივე კვლევითი პროექტის განმეორებით წარდგენის შემთხვევაში, თუ არ იქნება გათვალისწინებული კვლევის ეთიკის კომიტეტის დასკვნა, შეუსაბამობების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, კომიტეტის გასცემს უარყოფით დასკვნას.

8. კვლევის ეთიკის კომიტეტის უფლება-მოვალეობები და კვლევის განხილვის პროცედურები

კვლევის ეთიკის კომიტეტის გამართული ფუნქციონირება ეყრდნობა მისი წევრების დამოუკიდებლობას, კომპეტენციას, გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. კვლევის ეთიკის კომიტეტს აქვს შემდეგი უფლება-მოვალეობები:

8.1. მიიღოს მკვლევარის მიერ წარმოდგენილი კვლევა, შესაბამისი რეცენზიით/რეცენზიებით;

8.2. კომიტეტის თითოეულმა წევრმა დადგენილ ვადაში წარმოადგინოს წერილობითი დასკვნა კვლევის ეთიკურ სტანტარტებთან შესაბამისობის შესახებ;

8.3. წარმოდგენილი დასკვნების საფუძველზე, 10 დღის ვადაში, შესაბამის სხდომაზე, კომიტეტმა წარმოადგინოს წერილობით დასკვნა შემდეგი ფორმულირებით:

ა) კვლევა შესაბამისობაშია კვლევის ეთიკის სტანდარტებთან;

ბ) კვლევა შეუსაბამობაშია კვლევის ეთიკის სტანდარტებთან, თუმცა აქვს შესწორების საშუალება.

გ) კვლევა სრულიად შეუსაბამოა კვლევის ეთიკის სტანდარტებთან.

დ) წერილობითი დასკვნის ბ) პუნქტის შემთხვევაში, მაქსიმუმ 3 კვირის ვადაში ხელახლა განიხილოს წარმოდგენილ კვლევა, რის შედეგადაც გამოაქვს დასკვნა კვლევის დაწყების ან მიმდინარე კვლევის შეჩერების თაობაზე.

ე) საბოლოო დასკვნა გადასცეს მკვლევარს ან მკვლევართა ჯგუფს და შესაბამისი ფაკულტეტის/ფაკულტეტების ხელმძღვანელებს.

8.4. მოითხოვოს უკვე მიმდინარე კვლევის შეჩერება, თუ არსებობს ეთიკური შეშფოთების მტკიცებულება. კვლევა განახლდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს პრობლემები სრულად იქნება მოგვარებული;

8.5. იყოს კონსტრუქციული და მკაფიოდ და დასაბუთებულად წარმოადგინოს პოზიცია, მზად იყოს უკუკავშირისთვის.

8.6. კვლევის განხილვის პროცესში შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და გათვალოს ნებისმიერი შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ამ დამოუკიდებლობას.

8.7. გამოიყენოს სათანადო ტრენინგებში ჩართვის შესაძლებლობები.

8.8. მუდმივად იმაღლებდეს გამოცდილებას კვლევის მართვის პროცედურების შესახებ

8.9. არ ჩაერიოს კვლევის მეთოდოლოგიის საკითხებში, დიზაინში და სხვ. თუ ეს არ იწვევს კვლევის ეთიკური საკითხების დარღვევას.

8.3. ხელმისაწვდომი იყოს კონსულტაციისთვის კვლევის მთელი პროცესის განმავლობაში.

8.4. აწარმოოს განაცხადების და გადაწყვეტილების აღრიცხვა, ასევე, სხდომების ოქმების შექმნა, შესაბამისი შენახვისა და განკარგვის წესით.

8.5. მიღებული გადაწყვეტილებები უნდა იყოს გამჭვირვალე და დასაბუთებული

8.6. პასუხისმგებელია ყოველწლიური ანგარიშის მომზადებაზე, რომელსაც წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. წლიური ანგარიში ითვალისწინებს კვლევის ეთიკის კომიტეტის მუშაობის შეჯამებას, პროცესებს და ინიციატივებს.

9. კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

9.1. კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) უნივერსიტეტთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა;

გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

დ) გარდაცვალება;

ე) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ვ) უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება.

9.2. კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კვლევის ეთიკის კომიტეტი.

მუხლი 10. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე კოდექსი ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.
2. აღნიშნულ კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს სხდომაზე.
3. უნივერსიტეტის მკვლევარები და პერსონალი ასევე, კვლევაში ჩართული სტუდენტები ვალდებულნი არიან გაეცნონ წინამდებარე წესს, რომელიც განთავსებული იქნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
4. წინამდებარე კოდექსი ძალას კარგავს ახლის დამტკიცების შემთხვევაში.